**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეკი.

1877—1892 **საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი** 1877—1892



გაზეთი „**ივერია**“ აპრილის პირველიდამ წლის დამლევამდე ღირს 8 მან.



**ეკატერინე იაკობის ასული და იოსებ იაკობის ძე ქაჩხუაშვილები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი ქმრისასა და მეორე—ძმისასა, **კირილე იაკობის ძის ქაჩხუაშვილისასა.** განსვენებული დასაფლავებულ იქმნება ქ. ახალციხეს შაბათს, 18 აპრილს, დილის 10 საათზედ, საგვარეულო აკლდამაში. (1—1)



**ქართული თეატრი**

პარასკევს, 17 აპრილს,

არტისტი-მომღერალი

კ. ს. ივერიელი

გაჰმართავს ქართულს ენაზედ

**საოპერო**

და

დრამატიულს საღამოს.

I

პირველად

**სტრადელლა**

შეთქმულთა სცენა მეორე აქტიდამ. მუსიკა ფლოტოვისა

II

პირველად

**დემონი**

სცენა დემონისა ანგელოსთან პირველ მოქმედებიდგან. მუსიკა რუბინშტეინისა.

III

**დათვი**

კომედია 1 მოქმედ., გ. ვოლსკისა.

IV

დიდი დივერტისმენტი

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი მანდენოვისა, არსკისა (მეცო-სოპრანო); ბ-ნნი აბაშიძე, ნებიერიძე, ჭრელოვი. (ტენორი), ივერიელი, ბუში (ვიოლონჩელისტი), რატილი, ადამიძე, მურადოვი და სხ.

დასასრულ

**ლ ე კ უ რ ი.**

ბილეთების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზედ.



**წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის გამგეობისაგან.**

თანახმად წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის პირობის მე-16 მუხლისა, წარსულ შაბათისათვის დანიშნული ამხანაგობის საზოგადო ყრილობა არ შესდგა და გადაიდო მომავალ შაბათისათვის, 18 აპრილს. ყრილობა იქნება სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში, საღამოს 6 საათზედ. (3—0—3)


## მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა ხელმწიფე იმპერატრიცა საქართველოში

საქართველოს ეს ხელ-მეორედ ეღირსა ხელმწიფე იმპერატრიცას მობრძანება. მისმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ თავის ასულის დიდის მთავრინას ქსენია ალექსანდრეს ასულისა და დიდის მთავარის მიხეილ ნიკოლოოზის ძითურთ ინება წაბრძანება აბასთუმანს, სადაც ამ ჟამად ბრძანდება დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე.

გაათია რა ღამე ქალაქს კავკავში, მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა დიდის მთავრინას ქსენია ალექსანდრეს ასულისა და დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძითურთ ორშაბათს, 13 აპრილს, დილის 7 საათზედ, წამობრძანდა მცხეთას. გზა-გზა საქართველოს სამხედრო გზაზედ სოფლის ხალხი ეგებებოდა სეფე მოგზაურთ. ხსენებულის გზის სადგურებზე ცეცხლები იყო გაჩაღებული საღამოობით, ხოლო დღისით ის სადგურები მორთული იყო ბაირაღებითა და ყვავილებით. ივერიის სეფე სტუმრებმა სადგურს ყაზბეგში ისაუზმეს, ხოლო ისადილეს სადგურს დუშეთში. იქიდგან წამობრძანდნენ მცხეთას საღამოს 8 საათსა და 20 წუთზედ. ხელმწიფე იმპერატრიცამ მთელი სამხედრო საქართველოს გზა უჩარდახო, თავ-ახდილ ეტლით გამოვლო თავის ასულითურთ და სტკბებოდა დიადის სურათით კავკასიის დიდროვან მთებისა. მის უდიდებულესობის ეკიპაჟს შემდეგ მობრძანდებოდნენ თავ-ახდილ ეკიპაჟებითვე მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოოზის ძე და ბ-ნი სასახლის მინისტრი გენერალ-ადიუტანტი გრაფი ვარანცოვ-დაშკოვი კავკასიის მთავარ-მართებლისა და ამალითურთ. სამეფო მატარებელი სულ 16 ეკიპაჟისაგან შესდგებოდა, რომელსაც თერგის ყაზახთა ცხენოსანი ჯარის-კაცნი ახლდნენ თანა.

აუწყეს თუ არა დეპეშით დუშეთიდგან, სეფე-მოგზაურნი წამობრძანდნენ, მაშინვე მცხეთის სადგურზედ ჩირაღდანი გამართეს და სადგური მთლად მორთეს ბაირაღებითა, ფერადის ფარნებითა და ყვავილებით; ბაქანი დაფენილი იყო სპარსულის ხალებითა და წითელის მაუდით. სადგურის კედელზედ გამოკიდულ იქმნა დიდი ტრასპარანტი, რომელზედაც აღნიშნული იყო სათაური ასოები მათ უდიდებულესობათა სახელ-წოდებისა. პირველის კლასის დარბაზი, რომელიც მისაღებ ოთახად იყო დანიშნული, მორთული იყო ხალებითვე და თბილის ქვეყნის მცენარეებით. ამ დარბაზის ორსავე შესავალთან დაცემული იყო კარვები, მორთული ყვავილებითა, ფარნებითა და დროშებით. ორსავე მხარეს საფოსტო გზის პირად, სადგურის მახლობლად, ამართული იყო ბოძები, მორთული დროშებით, ფარნებით და მის უდიდებულესობის სახელ-წოდების სათაურის ასოებით. ბოძიდგან-ბოძზე ხვეული ყვავილი გადადიოდა.

აი, საქართველოს სატახტო ქალაქის, აწ-კი სოფელ მცხეთის, კართან გამოჩნდნენ ლამპრები. ხალხმა სული განაბა მოლოდინით. გავიდა ხუთი წუთიც და სრულს ათს საათსა და 22 წუთზე მოვიდა ეკიპაჟებიც. ხალხმა დაინახა-რა ხელმწიფე იმპერატრიცა, ესოდენ თაყვანებული, ქუდი მოიხადა პატივისცემით და წყნარად გაჩერდა. ჩამობრძანდა რა ეტლიდან, უმაღლესი სტუმარი მიესალმა თავ-მდაბლად ხალხსა, გაიარა დარბაზი და შებრძანდა საიმპერატორო მატარებლის ვაგონში. მათი უმაღლესობაც ასული მისი, თან აჰყვა ხელმწიფე იმპერატრიცას. 10 წუთს შემდეგ მატარებელი წყნარად დაიძრა სადგურ ხაშურისაკენ. ხალხმა მხიარულად „ურა“ დასძახა. მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა ვაგონის ფანჯარასთან მიბრძანდა და თავ-მდაბლად გამოემშვიდობა შეკრებილს ხალხს.

გზა მცხეთიდან ხაშურამდე ცეცხლებით იყო განათებული. ყველა სადგური მოერთოთ დროშებითა და ჩირაღდანი გაეჩაღებინათ. საიმპერატორო მატარებელი, მარშრუტის თანახმად, მივიდა ხაშურს ნაშუაღამევის 1 საათსა და 40 წუთზედ და გადავიდა რკინის გზის სურამის შტოზე, სადაც გაჩერდა დილამდე. მატარებელში უავგუსტოესმა სტუმრებმა ჩაი მიირთვეს. ხელმწიფე იმპერატრიცამ ღამე 13—14 აპრილს მატარებელში გაათია. სადგური ხაშურიც ხალებითა, ყვავილებითა, დროშებითა და სხვა-და-სხვა მცენარით იყო მორთულ-შემკული. დილით, 14 აპრილს, 8½ საათზედ მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოოზის-ძე განსაკუთრებულისვაგონით მობრძანდა ხაშურის სადგურზედ და თავ-მდაბლად ესაუბრა დამხვედრთ. შემდეგ დაუყოვნებლივ გაემგზავრა ბორჯომს, სადაც დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე მიელოდდებოდა თავისს უავგუსტოესს დედას.

მის უმაღლესობამდე სადგურზედ მიბრძანდა მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი შერემეტიევი.

დილის 7 საათზედ სადგურზედ შეიკ-

## ფელეტონი

### ჩვენი უთავბოლობა.

გლეხ-კაცობა და სოფლის ბობოლები.

(შესდეგი. იხ. „ივერია“, № 76)

მღვდლებს შემდეგ, რაღა თქმა უნდა, სოფლის მასწავლებლები არიან დაახლოვებულნი ხალხთან. სოფლის მასწავლებლებს, გარდა იმ დიდისა და წმინდა მოვალეობისა, რომელიც იმათ აღევთ კისრად: მომავალის თაობის გონება-გულის გონივრულად გაწვრთნა და მრავალის კეთილის ჩანერგვა ნორჩის ბოროტის თესლის ამოსახმობლად, შეუძლიანთ კიდევ ბევრი რამ საკეთილო ცოდნა-სწავლა ჩააგონონ სიტყვით თუ საქმით უვიცს ხალხს კვირა-უქმე დღეს და სწავლის შემდეგ, როდესაც-კი ხალხთან მისვლა-მოსვლა აქვთ და სასოფლოზედ გამოდიან. დიაღაც შეუძლიანთ, მაგრამ, სამწუხაროდ, თუ ყველანი არა, მომეტებული ნაწილი საქართველოს სოფლების მასწავლებლებისა თვით ოფიციალურად დავალებულ თანამდებობასაც ვერ ასრულებენ კეთილ-სინიდისიერად, ზოგნი იმისთვის, რომ გონებით განუვითარებელნი არიან და ქვეყნის წარმატებისათვის თავ-გამოდებული გრძნობები არ უღელვებთ გულსა და სულს დაუცხრომელ ზღვასავით და სულ იმასლა გაიძახიან გულ-მოსულები: ვიტანჯებით და ჯიბეში-კი არა გვრჩებარაო, და ზოგნი იმისთვის, რომ სხვა-და-სხვა მიზეზის გამო ძალის-ძალად მასწავლებლობენ, თუმცა იმათთვის ბუნებას სრულიად სხვა ასპარეზზედ მოქმედების შნო და ხალისი მიუნიჭებია. ან-კი აქტიორის ადვაკატობა და აბლაკატის აქტიორობა რა იქნება, მაგრამ ბობოლების შემწეობას, შემთხვევასა და გაჭირვებას ყველა შესძლებია ძალის-ძალად, ქვეყნის საუბედუროდ და დაუდევნელ ერის სამარცხვინოდ.

ვერ ვიტყვი და ვერც არავინ იტყვის, რომ სოფლის მასწავლებლებში არ მოიპოვებოდნენ თავისის მოვალეობის კეთილ-სინიდისიერად აღმასრულებელნი. არა, იმათშიაც არიან ზოგიერთნი ისეთი საქმის მცოდნენი, ღვთისნიერები და დაჩაგრულის მოძმეებისათვის გულ-წრფელად გულ-შემატკივრები, რომელნიც თავიანთ წმინდის ოფლით მონაგრებულს უკანასკნელს გროშსაც-კი წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გამოწერაში ჰხარჯავენ თვით - განვითარებისათვის, რომ ყოვლის მხრით გონება-განათლებულებმა უფრო მეტი სარგებლობა მოუტანონ მშობელს ქვეყანას და საკურნებელ მალამოდ გამოადგნენ უვიცის ხალხის ათას ნაირს ჭირვარამს. ერთი კოდი ფეტვის დახვრეტა ადვილია ერთის ბალღის გაწრთვნაზეო, ამბობს ჩვენი ანდაზა, და, მაშასადემე, ორ ნაირად პატივსაცემნი არიან ერისაგან ასეთი ჭირსა და ლხინში გამოსადეგი მასწავლებლები; მხოლოდ ვაი, რომ იმათთანებს, თუ არ გამიწყრებით, მთელს საქართველოში ათიოდესაც ძლივს იპოვით და აბა ეს ხომ ზღვაში წვეთია, მღვდლებისა არ იყოს.

მასწავლებელთა უმრავლესობის ზნეობითის ნაკლის ჩამოთვლით რომ თავი არ შეგაწყინოთ, რადგანაც ბევრი იმათი ნაკლიც მღვდლების ნაკლულევანებას მიეგვანება, ერთს-ღა დაგისახელებთ სიმართლისათვის. მასწავლებელს ძვირად ჰნახავთ ეკკლესიებში თვით საუფლო დღეებშიაც-კი. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. აბა თვალი ადევნეთ, როცა ჰნახოთ ეკკლესიაში, თუ რა მაგალითს აძლევენ ხალხს: ბარძიმ-ფეშხუმის გამოსვენების დროს ხალხი იჩოქებს და იმ დროს მასწავლებლები-კი ყოყოჩა ვაცებივითა დგანან ხალხის წინ მუხლმოუყრელად, ვითომ ჩვენ დიდი კაცები ვართ და არ გვეკადრებაო! და ის კი აღარ იციან, რომ თვით მეფენი და ქვეყნის გენიოსები იჩოქებენ იმ დროს რჯულისა და განათლების პატივისცემისათვის. რაც უფრო მეტად განათლებულია ადამიანი, იმდენად უფრო თავაზიანი და თავ-მდაბალია, და დიდი სირცხვილია, რომ სოფლის უბრალო გლეხი თავის მასწავლებელზედ უფრო მეტს შეგნებულობასა და თავაზიანობას იჩენდეს ეკკლესიაში! მაგრამ სულს ქვეშ რომ ვსთქვათ-კი, ეს მიუტევებელი ნაკლი თითქმის ყველასა გვჭირს, ჩვენდა სამარცხვინოდ. დიაღ, ნაცვლად იმისა, რომ მასწავლებლებმა უცოდინარს ხალხს ათასი საკეთილო საქმე ჩააგონონ სიტყვით და საქმითაც, სარკენი კეთილ-ზნეობისანი იყვნენ შინ და გარედ, ისინი ან სრულიად ხალხში არა ჩნდებიან სამოქმედოდ, რადგანაც ხალხის ჭირი და ლხინი ლობის ჩხირად მიაჩნიათ, და ან უწესრიგო მაგალითებს აძლევენ ხალხს ზოგიერთნი ცივილიზაციის ნაბოლოვარში დაფერილები არ შესაფერისა და ხშირად უმართებულო ყოფა-ქცევით, რის გამოც ბევრჯერ გამიგონია ქართლ - კახელებისაგან: ახავაითას, უჩიტელი რომ ემაგეთი იყოს, შაგირდები რაღა ეყოლებაო!.. ეჰ, ვერაფერი შვილი შაგირდები იქნებიან იქ, სადაც ღვიძლს ენას არ უჭირავს უმთავრესი ადგილი, რომ პირველ-დაწყებითი სწავლა დედის ტკბილს ძუძუსავით შეერგოს ბალღის ნორჩს გულ-გონებას. დასწყიპა ღმერთმა, არ მეგონა, მაგრამ... აქაც უთავბოლობა გამოდის, და თუ არა გჯერათ, მოიგონეთ საყვარელის პოეტის სიტყვები: „მტრედი ვერ შესძლებს კატის ჩხავილსა, ბულბული—ყროყინს, თევზი—კნავილსა, კრავი უმანკო—მელის ხავილსა, გვრიტი—ჭიხვინსა, ბუზი—ბღავილსა!..“ და სხვა.

მღვდლებ-მასწავლებლებს შემდეგ,

რიბნენ მისი მაღალყოვლად უსამღვდელოესობა პალლადი, ეგზარხოსი საქართველოსი, მისი უმაღლესობა პრინცი ოლდენბურგისა, კავკასიის მთავარ-მმართებლის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი ტატიშჩევი და სხვანი. მოვიდა სამეფო მატარებელიც და ვაგონიდგან გადმობრძანდა მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა და სადგურის სამეფო დარბაზში შებრძანდა. საქართველოს ეგზარხოსი მიეგება და მიართვა ხელმწიფე იმპერატრიცას ხატი წმ. ალექსანდრე ნეველისა და მარიამ მაგდალინელისა, მის უმაღლესობას დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოოზის ძეს—მაცხოვრის ხატი, დიდს მთავრინას ქსენია ალექსანდრეს ასულს—ღვთის-მშობლის ხატი, ხოლო დიდს მთავარს გიორგი ალექსანდრეს ძეს—წმ. გიორგი ძლევა-მოსილის ხატი. იქვე წარსდგნენ მის უდიდებულესობის წინაშე თანაშემწე კავკასიის მთავარ-მართებლისა გენერალ-ლეიტენანტი გრაფი ტატიშჩევი და ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, მის უდიდებულესობის კარის კამერჰერი თავადი მაღალაშვილი.

ამას შემდეგ მისი უდიდებულესობა დიდის მთავრინას ქსენია ალექსანდრეს ასულითურთ ეტლით გაემგზავრნენ ბორჯომს და იქიდგან აბასთუმანს. ხაშურიდგან გზა ორსავე მხარეს მორთული იყო ბაირაღებით, ხვეულის ყვავილებითა და ნაძვებით. დარი წვიმიანი და ცივი იდგა.

გიორგი პავლოვი

## ახალი ამბავი

*** დღეს, 17 აპრილს, საინტერესო საღამოა დანიშნული ქართულს თეატრში. არტისტი-მომღერალი კ. ს. ივერიელი (ცხომელიძე), რომელსაც ჩვენი საზოგადოება იცნობს, საოპერო და დრამატიულს საღამოს ჰმართავს. განსაკუთრებით იმ მხრივ არის ეს საღამო სასიამოვნო, რომ სრულიად ქართული ხასიათი აქვს, ქართულად მღერიან, ქართულად კითხულობენ და ქართულად გალობენ. წარმოდგენილი იქნება ოპერიდგან „სტრადელლა“ მეს ე მოქმედება და „დემონიდგან“ ის სცენა, სადაც დასაწყისში ანგელოზსა და დემონს ბაასი აქვთ. პირველი მაგალითია, რომ ქართულად საოპერო რამ წარმოედგინოთ. შემდეგ წარმოადგენენ ერთ-მოქმედებიანს ვოდევილს „დათვი“, რომელშიაც ქ-ნი მანდენოვისა და ბ-ნნი აბაშიძე და ნებიერიძე იღებენ მონაწილეობას. ქ-ნი მანდენოვისა სულ ერთხელ გამოვიდა ქართულს სცენაზედ და მაშინვე საზოგადოების ყურადღება დაიმსახურა. ეს მეორე დებიუტია მისი ქართულს სცენაზედ. ამას გარდა, გამართული იქნება დიდი დივერტისმენტი, რომელშიაც ცხრა თუ ათი ნომერია დანიშნული შესასრულებლად. დასასრულ, ქ-ნი მანდენოვისა და ბ-ნი მურადოვი ლეკურს ითამაშებენ. პროგრამმა საღამოსი საუცხოოდ არის შედგენილი.

*** სწავლის დასამთავრებელი ეგზამენები კავკასიის სამოსწავლო ოლქის საშუალო სასწავლებლებში 8 მაისს დაიწყება.

*** 11 ამ თთვისას საქართველოს სამხედრო გზაზედ, სადგურს ლარსსა და ყაზბეგს შუა, ვიღაცა ქურდებმა ტფილისის გუბერნატორის ეტლს აალეს ერთი ჩემოდანი, რომელშიაც ტანისამოსი და 30 თუმანი ფული იყო.

*** ინსპექტორი ტფილისის კადეტთა კორპუსისა, პოლკოვნიკი პოტოცკი გადაყვანილ იქმნა პოლტავა-პეტროვსკის კადეტთა კორპუსის დირექტორად.

*** ტფილილები ხშირად შეხვდებიან საჯარო ვაჭრობას კუკიის ხიდზედ. ყველას ასე ჰგონია, ვისიმე სამკვიდრო რამ ისყიდება, იაფად იქნებაო, და ეტანებიან ვაჭრობას. ამასობაში ის-კი არავინ იცის, რომ ამ საქმის დამწყობი ორი ებრაელია. ესენი აქეთ-იქით ხელად ვაჭრობენ მიმტვრეულ-მომტვრეულს საქონელს, მოიწვევენ ხოლმე ორს კაცს კიდევ სხვას, ვითომ-და დამფასებლებს, და ასე მოტყუებით ერთი-ორად და ერთი-სამად მამასისხლადა ჰყიდიან საქონელს. საკვირველია, ან პოლიცია რად აძლევს ნებას და ან ქალაქი, რომელიც ამათ ადგილის ხარჯს ახდევინებს, რატომ არ მიაქცევს ყურადღებას ამ ხალხის მოტყუებას?!

*** გუშინ-წინ, 15 აპრილს, ტფილისში უცნაური ამბავი მოხდა. საღამოს 10 საათზედ არსენალის ხევთან, ამიერ-კავკასიის რკინის გზის ლიანდაგს ახლო, თავ-მოჭრილი ჰნახეს ერთი კაცი. თავი ისე ძლიერადა ჰქონდა გაგდებული, რომ თავი ცალკე ეგდო და ტანი ცალკე. როგორც გუშინ დილით აღმოჩნდა, ეს კაცი ოსი ყოფილა, გვარად ვასილ სუხაშვილი, მზარეულად ნამყოფი ვილასთანაც ვერაზედ. 10 საათზედ ამ ადგილებს ახლო ნასვამი უნახავთ და ეხლა დარწმუნებით არავინ იცის, თავი თითონ დაუდვია ლიანდაგზედ და მატარებელს მოუკლავს, თუ სხვას ვისმე მოუჭრია და განგებ იმ ალაგას დაუგდიათ, რომ იფიქრონ, მატარებლის მსხვერპლიაო. გაძარცვის ნიშნები მკვდარს არა ეტყობა-რა და ამიტომ უფრო ის არის დასაჯერებელი, რომ საბრალოს თითონვე მოეკლას თავი.

*** დამშეულთა სასარგებლოდ გამოცემულ მეორე ლატარიის ბილეთების ტირაჟის მოხდენას მთავრობა ივნისის დამდეგისათვის აპირობს.

*** 12 ამ თთვისას ბათუმში მოვიდა საფრანგეთის რესპუბლიკის გარდაცვალებულის პრეზიდენტის ჟ. გრევის მდივანი დიუგამელი, რომელიც ამ ჟამად წევრად არის ერთის საფინანსო-სამრეწველო საზოგადოებისა და გამოგზავნილია კავკასიაში იმიტომ, რომ რაიმე სამუშაო საქმე აღმოუჩინოს აქ „საზოგადოებას“. რამდენისამე დღის შემდეგ ბ-ნი დიუგამელი ქუთაისს გაემგზავრება.

*** ბათუმიდგან სწერენ აქაურს გაზეთებს: გაზაფხულის კრიზისისა გამო როტშილდმა და სხვა მექარხნეებმა მუშაობა შეამცირეს და ამის გამო 2,000-მდე მუშა უსაქმოდ და უსაშოვროდ დარჩაო.

*** გომი: 15 აპრილს რკინის გზის სადგურ გომში გაუფრთხილებლობით ერთი წუღების მკერავი მატარებლის მსხვერპლი შეიქმნა. მატარებელი დაძრული იყო, კაცს უნდოდა ქვეშ გაევლო, მაგრამ ვერ შესძლო და შუაზედ გადასწყვიტა მატარებელმა.

*** აჯამეთი: 16 აპრილს რკინის გზის სადგურ აჯამეთში მატარებელზედვე მაზრის უფროსმა თავისის ჩაფრებითურთ დააპატიმრა ორნი ძმანი კახიძენი, ერისტო და ნესტორ, რომელნიც კაცის-კვლის შემდეგ გავარდნილნი იყვნენ, დღემდე ტყე-ტყე დადიოდნენ და პოლიციას, თუმცა დიდხანს დაეძებდა, ხელში ვერაფრით ვერ ჩაეგდო. ორივენი ქუთაისის საპყრობილეში იქმნენ გაგზავნილნი.

*** კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების წლიური კრება და საბჭოს ახალ წევრთა არჩევანი უნდა მომხდარიყო წარსულს თებერვლის დამლევს, მაგრამ იგი კრება დანიშნულს დროს არ მოხდა და გადაიდო შემდეგისათვის, ხოლო როდემდის, ეს არ ვიცით. ეს გარემოება ცოტა არ იყოს გასაოცარია: იანვარში საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, ბ-ნი ბახმეტევი გვარწმუნებდა, რომ საზოგადოების მდგომარეობა ძალიან გასაჭირიაო, რადგანაც საბჭოს წევრთ თავი დაანებეს საბჭოს და ამ გვარად თვით საბჭოც აღარ არსებობსო; ასე საქმის მმართვა არ შეიძლებაო, და თხოულობდა დღესვე მოხდეს წევრთა არჩევანიო, ხოლო კრებამ ეს არჩევანი გადასდო ერთის თთვით. ეხლა-კი ბ-ნმა ბახმეტევმა, თავის ნებით, გადასდო არჩევანი და, როგორც სჩანს, დიდის ხნითაც. თუ იანვარში შეიძლებოდა და ასე საჭიროც იყო საბჭოს წევრთა ამორჩევა, რატომ თებერვალში ან მარტში არ დანიშნა მათი არჩევანი? არ გვესმის (გაზ. „მეურნე“).

*** ზუგდიდიდგან სწერენ გაზეთს „Нов. Обоз.“-ს: ჩვენში ყაჩაღობაკი მოისპო, მაგრამ ჩუმი ქურდობა და განსაკუთრებით ცხენების პარვა უფრო გახშირდა. ისე დღე არ გაივლის, რომ ცხენი, ან სხვა საქონელი არავის მოჰპარონო. ერთმა ჯვარელმა გლეხმაო, სწერს ამ ამბის მომწერივე: ფოთში ბატკნები დაჰყიდა სააღდგომოდ და როცა უკან დაბრუნდა, გზაზედ ბოშების ბანაკზედ გამოიარა და აქ ჩუმად ამოაცალეს ჯიბიდგან ხუთი თუმანი ფული, როდესაც ბოშები ვითომდა აღდგომას ულოცავდნენ და ჰკოცნიდნენო.

*** „Нов Вр.“ იუწყება: საერო განათლების მინისტრს მოხსენება წარუდგენიაო სამინისტროში, რომ უეგზამენოდ გადაყვანილ იქმნენ ერთ კლასიდგან მეორეში ის მოწაფენი, რომელთაც ყველა საგნების ნიშანი ორთა შუა ანგარიშით ოთხზედ ნაკლები არ ექნებათო.

*** 15 ამ თთვისას ერევნის მოედანზედ კაპიტანის ცოლს პელაგია იმნაძისას ბაგრატ ხაჩატუროვმა ფულის ქისა და 30 მანეთი ამოაცალა ჯიბიდგან. დამნაშავე შეიპყრეს. ხაჩატუროვი ქურდობის გამო ორჯელ იყო დაპატიმრებული და ახლად გამოშვებული. დამნაშავემ მოასწრო და ფული თავისს ამხანაგს გადასცა.

*** მიხეილის ქუჩაზედ სლივიცკის სახლზედ მუშაობის დროს მიწას მოჰყვა საჩქის ყაზარის ძე კირაკოზოვი. ამოიყვანეს, მაგრამ ვერა უშველეს-რა, კირაკოზოვი სამკურნალოში გარდაიცვალა.

## სოფელ მეტეხის ოთხთავი

(1049 წლისა)

(შემდეგი. იხ. „ივერია“ № 76)

ნიმუშს მოვიღებ მათეს თავის სასწავლებისასაც (სამიებელი):

ა) განკორციელებისათჳს ქრისტესა და ნათესავთა შობისა. და ვითარ შეიმოსა ქალწულისაგან კაცებაჲ:.

ბ) მოგუთა მოსლვისათჳს და განრისხებისათჳს ჰეროდესისა. და ვითარ ეუწყა იოსებს და წარვიდა ეგჳპტედ და წარიყვანა იჳსო დედითურთ:.

გ) მოწყუდისათჳს ჩჩჳლთაჲსა. და უკმოქცევისათჳს იჳსოჲსა ეგჳპტით:.

---

სოფლის ხალხთან უფრო მეტად დაახლოვებულნი არიან სოფლის მოხელეები: მამასახლისი, სუდია, მწერალი, ჩინოვნიკი, ბოქაული, გზირი, ჩაფარი და სხვ. რას აკეთებენ სოფლის სუდიები და მამასახლისები?—ხან მტყუანს ამართლებენ, ხან მართალს ამტყუნებენ—აი რას აკეთებენ! მთელი იმათი მართლ-მსაჯულება ოთხს გარემოებას ემორჩილება: პირველი, დიდი მოდანაშაულეც რომ იყო, გაგამართლებენ, თუ წინა დღითვე ჯოჯოხეთის გამნათებელ ქრთამით მოინადირებ იმათს გულს; მეორე, თუ ჭრიჭინასავით ჭიჭინა ხარ და სოფლის ხალხზედ ასე თუ ისე გავლენას ახდენს შენი ლაჯუნაენა, ვერ შემოგბედავენ მტყუანი გაგამტყუნონ: ხალხს „აგვიბუნტებს“ გაჯავრებული და ე მენდლებს მკვდარის ვირის ნალებივით აგვყრიანო; მესამე, თუ შენი რამ ჯავრი სჭირს რომელსამე მოხელეს, ცამდე ალალმართალიც რომ იყო, გაგამტყუნებენ; და მეოთხე, მოხელეები თუ შენი ახლო ნათესავები ან კუდიკუდს გადაბმული მეგობრები არიან, ფეხებზედ გკიდია ყველა, თუ რუსული იცი. Что мнѣ законы, коли судьи знакомы!—გაიძახი სიამაყით, თუ არა-და, ქართულად ებობოქრები გულ-მოსული ჭიხჭიხით შენს ბრალმდებელს: წადი, იჩივლე, შენი აგრე და იგრე, ფეხები არ მომჭამოო!... ააა! აი თურმე რისთვის უთქვამს რუსის სიბრძნეს: Не бойся суда, а бойся судьи. ერთის სიტყვით, დღევანდელს სოფლის მოხელეებში ერთსაც ვერ დამისახელებთ, გარდა ათასში ერთის ჭეშმარიტად გონება-განათლებულისა, რომ თვით უდიდესი ცოდვის დამბადებელი საზიზღრობაც-კი, როგორიც არის მექრთამეობა, ცუდ-კაცობად მიაჩნდეს: მა რა ჩემი ფეხებია ე რო გემსახურებით უჯამაგიროდ, უსმელ-უჭმელი და ტან-ჩაუცმელიც ხო ვერ ვივლით, წაღის ფასს მაინც არ მოგვცემთ თქვენს მუქთა მუშებსო?? გისაყვედურებთ სახალხოდ. ეკითხებით: კაცო-და, მაშ ჯვარსა და სახარებაზედ რაღად იფიცავდი: აგრე და იგრე მომივიდეს, თუ მე ვისგანმე ქრთამი ავიღო და სწორე მოსამართლე არ ვიყოო?!—რა ვუყო, რო ვიფიცავდი, მიჰყე-მიჰყე სიმართლესა, გამოგილევს სინათლესაო. სახარება ჰბრძანებს: ხვალისათვის ნუ იზრუნავთო, და მა ეხლა, დაიცა, გეთაყვანე, იგრე გაჰცეტდები, რო აღარც მოჰხნავ და აღარც მოჰთესავო?! მოდი და ეხლა თქვენ სამართალი სთხოვეთ ამ გვარად მოლაპარაკე ხეპრეს!... არა, მგელი მწყემსობას ვერ გაგიწევთ და ღორი—მებოსტნობას. ხალხის მოხელე დიდად შეგნებული და განათლებული უნდა იყოს, რომ ან ღვთისა ეშინოდეს და ან ადამიანისა სცხვენოდეს.

სოფლის მოხელეების არჩევის წინა თთვეებში ზოგიერთი შეძლებული გლეხი ათისა და ოცის თუმნის საჭმელ-სასმელით იხვევს ხელზედ ცხვარივით ხალხს დღე და ღამე, რა არის, უმრავლესობამ მე ამომირჩიოს მოხელედ, რომ „ეს ოხერი, ჩემი ჯიბე, ვტენე, ვტენე, ვერ გავტენერ“ ვიძახო ოქრო-ლალის ნუნუით გაქენთილმა სამიკიტნოების საკუჭნაოშიო. წყეულია გაუმაძღარი თვალ-გული ბრიყვის ადამიანისა, იმან არ იცის არც ცოდვა-მადლი, არც სინანული, არც სიბრალული, როგორც ბუმბერაზ ვირმა ჩხიანმა, რომელსაც თავი ცათასწორად მიაჩნია და დამპალ კიტრადაც არა ღირს კაცის თვალში. ამოირჩევენ თუ არა რომელსამე გლეხს სოფლის მოხელედ, ერთი მადიანად დაიფიცავს ჯვარსა და სახარებაზედ: მტრედივით უმანკო ვიქნებიო, და მერე-კი—მშვიდობით ცოლო და შვილო! ათასი მადლიანიც რომ ყოფილიყო ოდესმე, თქვენ იმას ქრისტიანის ნიშან-წყალს ველარაში შეატყობთ, მაშინვე ჯიბე-მუცლის მოხელე გახდება და ძირიან-ფესვიანად ამოიგლეჯავს გულიდამ ნიორივით, თუ-კი ებადა, სინიდისს, პატიოსნებას, ცოდვა-მადლს, და სადაც დაბალს ღობეს დაინახავს, იმას გადაამტვრევს ნიკორა-კამეჩივით სხვის ნაჭირნახულევის გასანადგურებლად. ან-კი ვინ დაუდგებათ წინ, ვისი ეშინიანთ და ეხათრებათ ამათთანა მოხელეებს, როდესაც თვით იმათი მეთვალყურე ჩინოვნიკებიც დღესაც გოგოლის ჩინოვნიკების განაჭრები არიან, დღესაც იმათი ჯიბე-კუჭის მრწამსი პირში ბურთსა სჩრის უშემწეო სიმართლეს და კარს უკან აგდებს, „ნაჩალნიკმა“ არ დაინახოსო. მაგრამ, ვინ იცის, იქნება „ნაჩალნიკიც“ ისეთი უმანკო რამ გახლდეთ, რომ ყველა ტყაპუჭიანს ასე უბუზღუნებდეს ფეხების ბრახუნით: „Эхъ-ма! поди прочь, поди прочь, берегись! Скинь-ка шапку, скинь-ка шапку, да пониже поклонись!.. Хороша честь и слава, а еще лучше кусокъ сала. Вонъ!..“ ეჰ, მართლა თქმულა: „არა ჰმართებს ყვავსა ვარდი, ვირსა რქები“. თორემ სოფლის მოხელეები და იმათი მეთვალყურენი რომ მართლა მოხელეები და მეთვალყურენი იყვნენ, ხომ... აღარც იმოდენა უსამართლობა დაიბუდებდა ჩვენს საძაღლოორედ გამხდარს დაბა-სოფლებში. ადამიანი მხეცია და მხეცი ყოველ გვარს საზიზღრობას ჩაიდენს, როცა მიუფერებელი კბილის გამომჩხრეკავი არავინა ჰყავს. Гдѣ нѣтъ кошки, тамъ мыши все съѣдятъ. არა, რომელ ქვეყნის უმრავლესობაშიაც მწერლობა ყოველ-დღიურ მოთხოვნილებად არ არის გამხდარი სასმელ-საჭმელივით და ყველას კბილს არ უჩხრეკავს საჯაროდ, ის ქვეყანა დალუპული ქვეყანაა: იქ, როგორც ზღვაში, ძლიერი სუსტსა სჭამს და ვერვინ რასა ჰხედავს, ბოროტი სული არხეინად დასეირნობს ჯანღ-ბურუსით გარემოცულს არე-მარეში და კიდევ თავისს საკბილო მსხვერპლს დაეძებს თვალების ცეცებით.

დ. მაჩხანელი

დ) ქადაგებისათჳს იესისა უდაბნოჲსა:.

ე) რაჟამს მოვიდა იესო იოანესსა და ნათელიღო იორდანესა:.

ვ) ოდეს მიეცა საპყრობილესა და იესო ქადაგებდა:.

ზ) მომიჴსენე ოდეს აწვავა ოფალმან მოწაფეთა:.

ჱ) კეთროვანისათჳს:.

თ) სნეულებისათჳს მონისა ასისთავისა:.

ი) სიდედრისათჳს პეტრესისა და მისთანათაჲ:. (გვ. 2). და სხ.

ამ წიგნს (სახარებას) ხის, ტყავ-გადაკრული, ყდა აქვს და ვერცხლის ლუსკუმაში ინახება. ლუსკუმიანად შეხვეულია ხავერდის ძოლებ-ფოჩებიან მანდილში. მანდილის შუაგულს ოქრომკედით მოქარგულია ჯვარი.

აღწერა ლუსკუმისა.

ლუსკუმა შესდგება ვერცხლის ექვსის ფიცრისაგან. ფიცრები დამაგრებულია მავთულებით.

ზემო პირის ფიცარზედ ჰხატია ღვთის მშობელი; იმის მარცხენა მკლავზედ ჰსუფევს ჩჩვილი ქრისტე. დედა ღვთისა მარჯვენათი აკურთხებს ქვეყანას. დედა-შვილთ ნათელის რგოლები ახვევიათ თავების გარეშემო. სამკელი ორთავესი მოშავო-მოლურჯოა. მარიამისა და ქრისტეს ზევით, მაღლა ამართულია ცის კამარა, რომელიც თანდათან ვიწროვდება და მიუწვევს ფიცრის თავს. ამ მოვიწროებულ კამარის აქეთ-იქით კუთხეებში ჰხატიან ფრთოსანი ანგელოზები.

ლუსკუმის ქვედა ფიცარზედ ჰხატია ქრისტე, რომელსაც წვერი აქვს რუსთაველისებური და ულვაშებიც თითო-ოროლა ხაზით აღნიშნული აქვს. წამწამები აქვს გრძელი, ელვასავით წარზიდული. თავზედ ადგია სხივის რგოლი. აცვია მოლურჯო და შავზოლებიანი სამოსელი. თმები დაუვარცხნელივით აყრია თავზედ. მარჯვენათი აკურთხებს და მარცხენაში უჭერია მოჩუქურთმულ ყდიანი სახარება. მთელს სურათს, ნახევარზედ მაღლა, მისდევს სხივის კამარა, რომელიც ღელვით და თანდათანობითი შევიწროებით ადის წვერამდე. ზემო კუთხეებში, მწვანეზე, გამოყვანილია გაშლილი ყვავილები, რტოს სახით.

ყდის წინა პირზე 4 ოთხკუთხედია, რომელშიაც სხივის კამარაა გამოსახული. შიგ რგოლებში, ცალკ-ცალკე, ჰხატიან: მათე, მარკოზ, ლუკა, იოანე.

ყდის უკანა პირი სამის ხაზით გაყოფილია. ყოველს განყოფილებაში ხუთი მოოქრული ჯვარია გამოსახული. ჯვრებ შორის ოქროს მინანქარია.

ყდის თავ ფიცარზე, ოქროს სხივში, მაღლა ამართულია, ჩუქურთმით გამოყვანილი, კამარა და გუმბათი. ქვემოთ ჰხატიან, პირისპირ მდგომარენი, ორნი წმიდანი. ერთს წვერი ახლად ავარჯებული აქვს და ხელში წიგნი უჭერია. მეორეს გრძელი წვერი აქვს და თავის თმა მოკლე.

ბოლო ფიცარს ასომთავრულით აწერია:

ქ: ღმერთო: დაიცევ: ორსავე შინა: ცხორებასა: ბატონიშვილი აშოთან: მეტეხთა ღვთის მშობელო: მშობელო: მეოხ ექმენ: დღესა: მას: დიდსა: განკითხვისასა აშოთანს: ამინ: ქორონიკონსა ტჲ: (ტჲ=360 ანუ 1140 წ. (780+360=1140).

მოკლე განმარტება.

ფრიად საყურადღებოა 1049 წელი, როდესაც დასრულებულა ამ სახარების გადაწერა. გავრცელებული იყო აზრი, რომ ვითომ გიორგი მთაწმიდლემდე (†1066 წ.) ქართველებს სახარება არა ჰქონდათო. ჩვენ მალე დავინახავთ, რომ არა თუ ქართველებს გიორგიმდე სახარება არა ჰქონიათ, არამედ ჰქონიათ, უმჯობესადაც (ენის მხრივ) და დიდი ხნის წინედაც ნათარგმნი. ეს შემდეგისათვის იყოს.

გიორგი მთაწმინდელი გარდაიცვალა 1066 წ. 52 წლისა და მეტეხის სახარება-კი დასრულებულია 1049 წელს. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ამ სახარების მწერალი ბესარიონ ორიოდე წელიწადს მაინც მოანდომებდა თავის სიფაქიზით შესრულებულ შრომას, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ მას გადაწერა დაუწყვია არა უგვიანეს 1047 წლისა და ამ დროს-კი გიორგი ყოფილა მხოლოდ 32—33 წლის კაცი, როდესაც მას ჯერ არც-კი ეთარგმნა სახარება და ზოგიერთი სხვა წიგნი.

ამას გარდა, თვით ენის მხრივაც განსხვავება მცირე არ არის; მეტადრე მართლ-წერაში შეინიშნება სხვადა სხვაობა.

| მეტეხის სახარებაჲ: | გიორგისა: |
|---|---|
| შენ შემომიდეგ მე განკდა სიტყუაჲ ესე | შენ მე შემომიდეგ და განჰხდა სიტყუა ესე |
| მოწაფეჲ | მოწაფე |
| რაჲ | რა |
| წამებს | ჰსწამებს |
| კანაჲთ | კანათ |
| წარვიდეთ | წარვიდე |
| განთენდებოდა | განჰსთენდებოდა |
| დგა | ჰსდგა |
| ნუ გაქჳს-რაჲ | ნუ გაქუსრა |
| სდევით | ჰსდევით |
| გამოთრევად | გამოთრევაჲ |
| ართუ | არათუ |
| ესაჲია | ისაია |
| რაჲსა იტყჳ შენ-თჳს | რასა იტყჳს შენ-თჳს |
| იყვნეს | იყუნეს |
| ცოდვანი | ცოდუანი |
| ვიცოდე | ვიცოდი |
| მაც | მაძს |
| დაჯედ | დაჰსჯედ |
| ყო | ჰყო |
| ხილვად | ხილუად |
| ჩანს | ჰსჩანს |

ამ გვარი განსხვავება არა ერთია. მაგალითებს კიდევ მოვიღებთ შემდეგშიაც, როდესაც შევადარებთ ენას სხვა-და-სხვა დროის სახარებათა. აქ შევნიშნავთ მხოლოდ, რომ, საზოგადოდ, გიორგი მთაწმინდელს სახარება თავად-კი არ უთარგმნია, ქართული ძველი სახარება ენის მხრივ შეუსწორებია და ამ მხრივ ისეთივე ცვლილება შემოუღია მეთერთმეტე საუკუნის ენაში, ვითარიც მეთვრამეტე საუკუნის გასულს შემოიღო ანტონი კათალიკოზმა.

გარდა ენისა, ამავე აზრს გვიმტკიცებს მოქვის, წვრილი სურათებიანი, სახარება (1300 წლისა), რომელიც გადაწერილია გიორგი მთაწმინდელის დედნიდგან. აი მისი წარწერა:

ესე საცნაურ იყავნ ყოველთა,
რამეთუ ესე წმიდაჲ ოთხთავი
არა თუ ახლად გვითარგმნია,
არამედ ფრიადითა იძულებითა...
და სხ.

გელათისა და ჯრუჭის ძველ სახარებათა ამ გვარსავე წარწერებში სიტყვა „არა თუ“ გამოტოვებულია.

გელათის სახარება თვით გიორგი მთაწმინდელის ხელით ნაწერად ითვლება. აი სრული მისი წარწერა, რომელიც, როგორც ვსთქვით, არ ეთანხმება მოქვისას.

„ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ წმიდა ესე ოთხთავი ახლათ გვითარგმნია ფრიადითა იძულებითა ძმათა ვიეთთამე სულიერთათა და ბერძულთა სახარებათა და შეგვიმოწმებია ფრიადითა გამოწვლილვითა და ვინცა ვინ დასწერდეთ, თუ ამისაგან ჯერ გიჩნდეთ დაწერა, ღუთისათჳს სიტყუათა ნუ სცვალებთ, არამედ ვითარცა აქა ჰსწერია, ეგრე დასწერეთ და, თუ რაჲმე გშჳონდეს ჩუენნი ყოვლნი სახარებანი პირუშლითგან წმიდად თარგმნილნი და კეთილად ხან მეტნიცა და საბა წმინდურნიცა, მუნით დაწერეთ და ღუთისთჳს ერთმან ერთსა ნუ გაჰრევთ, ხოლო გლახაკისა გიორგისთჳს, რომელმან ვთარგმნე, ლოცუა ჰყავთ“.

აქედგან ცხადად სჩანს, რომ თვით გიორგი აღიარებს სახარებათა არსებობას საქართველოში ძველადგანვე. ⅾ სხვათა შორის საბა წმინდურსაც უჩვენებს. იგი სახარებანი ყოფილან „პირველითგან წმიდად თარგმნილნი და კეთილად“, ხოლო შიგა და შიგ „ხან მეტნიცა“.

მოსე ჯანაშვილი

(დასასრული იქნება)

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ყველაზედ უფრო ძნელი სწორად დასანაწილებელი გლეხთა შორის ბეგარაზედ გაყვანაა გზების გასაკეთებლად. ამ საგანს მთავრობამაც მიაქცია ყურადღება და აი, ეხლა-ხან დეპეშით იუწყებოდნენ პეტერბურგიდგან, სახელმწიფო საბჭომ დაადგინა, რომ სრულიად მოისპოს ხალხის ბეგარაზედ გაყვანა გზების საკეთებლადაო. ჯერ-ჯერობით გამოქვეყნებული არ არის ის საბუთები, რომლითაც სახელმწიფო საბჭოს უხელმძღვანელნია ასეთის განაჩენის დადგენის დროს. მაგრამ ის-კი მოსალოდნელია, რომ ზემოხსენებული გარდაწყვეტილება სახელმწიფო საბჭოსი მხოლოდ იმ გუბერნიებსა და ალაგებში იქნება შემოღებულ-განხორციელებული, სადაც ერობაა შემოღებული და მაშასადამე ჩვენს ქვეყანას (კავკასიას) არ შეეხება. თუმცა, როგორც ვსთქვით, ჯერ არ არის ცნობილი, რითა აქვს დასაბუთებული სახელმწიფო საბჭოს თავისი ზემოხსენებული გარდაწყვეტილება, მაგრამ შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ უმთავრესი მიზეზი გზების გასაკეთებლად ხალხის გაყვანის სიძნელე, უსამართლობა ⅾ შრომის გაწევის უსწოროდ განაწილებაა. ალბად სახელმწიფო საბჭოს საჭიროდ უცვნია, რომ პირდაპირ ხალხის ბეგარაზედ გაყვანის მაგიერ ფული აკრიფოს, და იქნება არა თითოეულის გუბერნიისათვის ცალკ-ცალკე, არამედ მთელის სახელმწიფოსათვის საეროოდაც-კი, რადგანაც ყოველსავე გზას, კერძო საგუბერნიო და სამაზრო მნიშვნელობას გარდა, საერთო სახელმწიფო მნიშვნელობაცა აქვს. ეს აზრია გამოხატული გაზეთ „Кавказъ“-ის გუშინდელ ნომრის მეთაურში, სადაც სხვათა შორის შემდეგიცაა ნათქვამი:

თუ საჭიროდ და სასარგებლოდ იქმნა ცნობილი გზების საკეთებლად ხალხის ბეგარაზედ გაყვანა რუსეთის შიდა გუბერნიებში, უფრორე საჭიროა ამ ბეგარის შემცირება ჩვენს ქვეყანაში (კავკასიაში), სადაც ჯერ-ჯერობით ზემოხსენებული დაკანონება სახელმწიფო საბჭოსი შემოღებული არ იქნებაო.

კავკასიის მთავრობამ უკვე მიჰმართა ცირკულიარით გუბერნატორებს, რომელნიც ამ მოკლე ხანში წარადგენენ ცნობებს გზების საკეთებლად ხალხის ბეგარაზედ გაყვანის საქმის ვითარებისას.

ერევნის გუბერნიის შესახებ ამ გვარი ცნობანი თვით გაზეთს „Кавказъ“-სა აქვს მოხსენებული. იმ ცნობებიდგანა სჩანს, რომ აწინდელს წესს ხალხის გაყვანისას ბეგარაზედ გზების გასაკეთებლად ბევრი რამ უსწორმასწორობა შრომის განაწილებისა და უსამართლობა სდევს თან.

1873 წლის შემდეგ ამ ჟამამდე ერევნის გუბერნიაში გაკეთებულ იქმნა ახალი გზა 220 ვერსის მანძილისა და შეკეთდა თითქმის განახლებით 150 ვერსის მანძილის გზა. ამ საქმეს დასჭირდა 381,594 ბეგრის მუშა, თუმცა ზედ რამდენიმე აგრეთვე ფულიც მოჰხმარდა. დღეში კაცის სამუშაო 40 კ. რომ ვიანგარიშოთ, სულ 152,637 მანათი შესდგება.

ზემოხსენებულ გზების შესამაგრებლად შრომის დაყრა ურმებისა და ხალხის მუშაობაც გამოანგარიშებული აქვს გაზეთს 419,007 მან., ასე რომ ერთიანად გზების ხარჯი შესდგება 571,645 მან. ამას გარდა, იმავე გზების შესანახად დასჭირდათ ბეგრით, ფულად რომ ვიანგარიშოთ, 91,319 მანათი. აქედგან გუბერნიის ადმინისტრაციამ დაასკვნაო, ამბობს გაზეთი, რომ ახალის გზების გასაკეთებლად თითო კომლს ბეგარა, ფულად რომ ვიანგარიშოთ, დასჭირდება წელიწადში 9 მ. 60 კ.—18 მ. 60 კ.-მდეო, მაგრამ

ამასთანავე მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ახალი გზა 220 ვერსი და 150 ვერსის გზის შეკეთება წილად ჰხვდა განსაკუთრებით გუმბრის მაზრას, ცოტაოდნად შრომა გასწია ნახიჩევანისა და უფრო ნაკლები ერევნისა, შარურო-დარალაგეზისა და ეჩმიაძინის მაზრამ, ხოლო ახალ-ბაიაზეთისა და სურმალინის მაზრებს ხელიც არ გაუნძრევიათ ხსენებულ გზების კეთებისათვის.

მა'შ განა მართლა უსამართლობა არ არ არის ასეთი უსწორ-უტოლო განაწილება ბეგრისა და ხარჯისა ერთს გუბერნიაში გზების გასაყვანად!

## რუსეთი

8 აპრილს პეტერბურგში აპრაქსინის ვიწრო ქუჩაზედ საშინელი უბედურება დატრიალდა. დილის 3 საათზედ ბაზაროვების ოთხ-სართულიანს სახლს ცეცხლი წაეკიდა. ამ სახლის ქვემო სართულში დუქნები იყო გამართული და სამს დანარჩენ სართულში მრავალი მდგმური სცხოვრობდა. ცეცხლი ქვეით სართულს წაეკიდა და საშინელის სისწრაფით მოედო მთელს შენობას. ხალხმა სახლებიდგან გამოსვლა ვერ მოასწრო. ყველას მაშინ-ღა გამოეღვიძა, როცა ცეცხლი მთელს სახლსა ჰქონდა მოდებული. შეშინებული ხალხი მეორე და მესამე სართულის ფანჯრებიდგან ხტებოდა ქუჩაში და ძლიერ ბევრი დასახიჩრდა. ქვემო სართულის ფორსოვის ტრაქტირიდგან ერთი მოჯამაგირე გამოიტანეს, ალექსი სურიკოვი, რომელიც კვამლისაგან დამრჩვალიყო. სურიკოვს შემდეგ ტიტოვის 4 წლის ყმაწვილი გამოიტანეს ცეცხლიდგან, რომელიც ჯერ ისევ ცოცხალი იყო, მაგრამ რამდენისამე ხნის შემდეგ გარდაიცვალა საავადმყოფოში. ძნელი წარმოსადგენია ის შიშის ზარი, რომელიც ხალხს დაეცა. ხალხი ერთ აივანიდგან მეორეზედ ხტებოდა, რომ როგორმე თავი გადაერჩინა; ზოგი წვიმის მილებზედ ჩამოეშვა მეოთხე სართულიდგან; ზოგი ზარ-დაცემული პირდაპირ ფანჯრიდგან ხტებოდა ქუჩაში. ცოტა ხანს შემდეგ ზემო სართულის ბანი ჩაიქცა და სამივე სართულის ჭერი და კედლები თან ჩაიტანა. როცა ცეცხლი გააქრეს, სახლის ნანგრევებში სამი კაცის გვამი იპოვნეს, ისე საშინლად დამწვარი და დასახიჩრებული, რომ ადამიანი ვერც იმათ სქესს გაიგებდა, ვერც წლოვანებას. შუადღის 2 საათზედ კიდევ ერთი გვამი იპოვნეს, საღამოს 9 საათზედ კიდევ ოთხი... ყველაზედ ბევრი ხალხი დაიღუპა ერთს სადგომში, № 21, რომელიც სახლის კუთხეში იყო და საიდგანაც გამოსვლა ძლიერ ძნელი იყო. ამ სადგურში 13 სული სცხოვრობდა თურმე და ამბობენ, რომ მხოლოდ ორი კაცი გადარჩენილა, ცოლი და ქმარი, რომლებიც ფანჯრებიდგან გადმოხტარან. ჯერ სწორედ არავინ იცის, რამდენი კაცი უმსხვერპლია ამ საშინელს უბედურებას.

—„Рус. Вѣд.“-ი სწერს, რომ ფინანსთა მინისტრი ბ-ნი ვიშნეგრადსკი ერთს თთვეს დარჩება ყირიმში და შემდეგ შვეიცარიაში გაემგზავრებაო. ვიშნეგრადსკის თანამდებობას დროებით აასრულებს ბ-ნი ტერნერი.

— გზათა სამინისტროს საინჟინერო ინსტიტუტის დირექტორი ბ. ნ. გერსევანოვი თავისს თანამდებობას თავს ანებებს და იმის ადგილას სახელმწიფო რკინის-გზების მმართველად ნამყოფი ვ. ვ. სალოვი იქნება დანიშნული.

—გაზეთ „Пет. Вѣд.“-ის სიტყვით მთავრობას განუზრახავს რუსეთის მცხოვრებთა რიცხვი ერთს დღეს აღწეროს. ამბობენ, რომ ამ დღეებში შეუდგებიან რამდენისამე მილიონ ფურცლის ბეჭდვას მომავალ აღწერისთვისაო. ამ აღწერას 3.200,000 მანათი დასჭირდება თურმე.

## უცხოეთი

ბოლგარია. უცხო სახელმწიფოების მწერლობაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია იმ ნოტამ, რომელიც ბოლგარიის მთავრობამ წარუდგინა ოსმალეთის მთავრობას ვულკოვიჩის მოკვლის შემდეგ. უმთავრეს საგნად ამ ნოტაში ის არის აღნიშნული, რომ ბელჩევის მოკვლის შემდეგ ოსმალეთმა აღუთქვა ბოლგარიას, ფხიზლად ვადევნებ თვალ-ყურს ბოლგარიიდგან გადმოსახლებულებს და თუ მცირეოდენი რამ ბოროტი განზრახვა შევამჩნიე, მაშინვე პასუ-

ხის-გებაში ჩავაგდებ და დავსჯიო. შემდეგ, განმარტავს რა ვულკოვიჩის მოკვლის გარემოებას, ნოტა შეჰნიშნავს, რომ პორტა კანონიერად ვერ მოიქცა, ხსენებულს საქმეში გარეული ვლადიმერ შიმანოვი რომ მისცა რუსეთის მთავრობასაო, რადგან შიმანოვი, თუმცა, მართალია, კონსტანტინოპოლის საფოსტო განყოფილებაში მსახურობდა, მაგრამ რუსეთის ქვეშევრდომობა-კი არა ჰქონდა მიღებულიო. იგივე ნოტა ბრალსა სდებს რუსეთს: ბოლგარიიდგან გადმოსახლებულებს ხელს უწყობს სარევოლიუციო საქმეებში ბოლგარიის მთავრობის საწინააღმდეგოდაო. თითქმის ამ ნაირსავე ბრალსა სდებს ნოტა ოსმალეთსაც: ძლიერ ნაკლებად უგდებს ყურს ბოლგარიიდგან გადასახლებულებს, თუნდა ისინი ბრალეულნიც იყვნენ საპოლიტიკო დანაშაულობაშიო. ამას შემდეგ ნოტა მიჰმართავს ოსმალეთის მთავრობას და სთხოვს, უფრო მეტის ყურადღებით მოეკიდეთ ბოლგარიის ინტერესებსაო. ეს თხოვნა სამ მუხლად არის აღნიშნული: ა) იმედია, ოსმალეთი მოსთხოვს რუსეთს ორს ძმას ტუფეკჩიევებს და შიმანოვს, რომელნიც ვულკოვიჩის მოკვლაში არიან გარეულნი; ბ) ნოტა ითხოვს, რომ შემდეგისთვის ალარავინ განიზრახოს დარღვევა ბოლგარიის აწინდელის წეს-წყობილებისა, ამიტომ ოსმალეთმა უნდა აღუკრძალოს ბოლგარიიდგან გადასახლებულებს ევროპის ოსმალეთში ცხოვრებაო, და გ) ნოტაში იმედია გამოცხადებული, ოსმალეთის მთავრობა შეიწყნარებს აწინდელს წეს-წყობილებას ბოლგარიისას, რადგან ეს შეწყნარება ძლიერ საჭიროა ბოლგარიის მშვიდობიანობისათვისაო.

გერმანიასა, ავსტრიასა და ინგლისში თანაგრძნობით მიეგებნენ ამ ნოტას ბოლგარიისას, მაგრამ არ იმედოვნებენ-კი, რომ შედეგი-რამ მოჰყვეს საკეთილოო. იმათის აზრით, ყოვლად შეუძლებელია, რომ ოსმალეთმა მოსთხოვოს რუსეთს შიმანოვი, ან ფორმალურად შეიწყნაროს ბოლგარიის აწინდელი საპოლიტიკო წეს-წყობილება, რადგან ამ გზით კვლავ წინ წამოდგება აღმოსავლეთის საქმე; მით უმეტეს, რომ ოსმალეთს პირობა არა აქვს-რა დადებული რუსეთთან დამნაშავეთა მიცემ-მოცემის თაობაზედ. ამ საგნის შესახებვე გაზეთი Standard-ი ამბობს: შეუძლებელია ევროპის სახელმწიფოებს უფლება წაერთვას, რომ თავიანთს ქვეშევრდომებს მფარველობა გაუწიონ უცხო სახელმწიფოებში, მეტადრე მაშინ, როდესაც მათი დევნა ვითომდა კანონის ძალით მხოლოდ უბრალო პირბადეაო. ასევე შეუძლებელია აეკრძალოს ბოლგარიიდგან გადასახლებულებს ევროპის ოსმალეთში ცხოვრება, რადგან ამით საერთაშორისო ადათი და ჩვეულება დაირღვევა. მოსახერხებელია მხოლოდ იმათთვის ფხიზლად თვალ-ყურის დევნება, რომელთა დამნაშავეობასაც საპოლიტიკო საქმეებში ბოლგარიის მთავრობა აშკარად დაამტკიცებს ნამდვილის საბუთებით. შეუძლებელია აგრეთვე აწინდელ საპოლიტიკო საქმეთა ვითარების გამო, რომ ოსმალეთმა ფორმალურად შეიწყნაროს აწინდელი წეს-წყობილება ბოლგარიის სამთავროსი. ის სახელმწიფონიც-კი, რომელნიც უფრო მეტად თანაუგრძნობენ ბოლგარიას, შეუძლებლად ჰხადიან ამ საქმეს, რადგან შესაძლებელია ამ ამბავმა საპოლიტიკო საქმეები არივ-დარიოს და საერთაშორისო უთანხმოება გამოიწვიოსო.

თუ ამ აზრისანი არიან ევროპის სახელმწიფონი ბოლგარიის აწინდელის წეს-წყობილების ფორმალურად შეწყნარების შესახებ, მაშ ის ხომ უფრო ძნელად დასაჯერებელია, რომ ოსმალეთმა თავისით ითავოს ეს საქმე.

## წვრილი ამბავი

ამას წინად დეპეშით ამბავი მოგვივიდა, რომ ბერლინში წითელას ბაცილა აღმოაჩინესო. აი უფრო დაწვრილებით ეს ამბავი. ბერლინში ექიმებს კანონსა და პილიკეს ეს ბაცილა წითელათი ავადმყოფ ცოცხალ ყმაწვილების სისხლში უპოვიათ. აი, ამის შესახებ რა ცნობებია დაბეჭდილი „Berlin. Klinisch. Wochenschr.“-ში: „წითელას შესახებ დღევანდლამდე მხოლოდ რამდენიმე საბაქტერიოლოგიო გამოკვლევა არსებობდა. მოაბიტის სამკურნალოს მმართველის ექიმ ჰუტმანის წინადადებით ჩვენ გამოვიკვლიეთ თოთხმეტის წითელათი ავადმყოფის სისხლი და ყველგან ერთი და იგივე ბაცილა ვიპოვნეთ. ბაცილა სხვა-და-სხვა სიდიდისაა: ზოგი ისეთი დიდია, რომ გაცილებით აღემატება სხვა ბაცილებს, ზოგი მეტად პატარაა. ჩვენ თოთხმეტ ცოცხალ ადამიანის სისხლში ნაპოვნს წითელას ბაცილას სწორედ ამ სენის აღმძვრელადა და გამომწვევადა ვსთვლით. საკვირველი ის არის, რომ ზოგჯერ დიდხანს მოკუნდით ბაცილას აღმოჩენას სისხლში და ზოგჯერ-კი პირველს დახედვაზედვე შევნიშნეთ. ეს ბაცილავე შევნიშნეთ, სისხლს გარდა, ავადმყოფის ნერწყვში და ბევრგან კიდევ სხვაგანაო“.

— პარიჟის ერთს გაზეთში საყურადღებო ცნობებია დაბეჭდილი იმის შესახებ, თუ როგორ დაწვრილმანდნენ საფრანგეთის დიდნი გვარეულობანი. მაგალითებრ, გრაფ de-la-Marche-თა შთამომავალი მხატვარია; ჰენრიხ მე-III ფავორიტის შთამომავალი, ერთი სან-მეგრენთაგანი, ეხლა უბრალო მეეტლეა; გრაილ დე-ტოას შთამომავალი პარიჟის ოპერაში ხორისტად ჰმსახურობს; რეტცის შთამომავალი სოფლის მესტვირეა; კრენი, რომლის გვარი 857 წელსვე იყო ცნობილი, ეხლა უბრალო მიწად-მფლობელია პიკარდიაში; გრაფინია დე-დისუს-ბრემონი მოახლედ არის თეატრში და ლოჟის კარებს უღებს მიმსვლელებს; გრაფი დე-სენ-ჟაკი თაგვის ხაფანგებსა ჰყიდის; ჰენრიხ მე-IV მინისტრის სიულლის ორი შთამომავალი კედლებსა ჰღებავენ. დანარჩენთა სახელები აღარ მოგვყავს, რადგან აქ ჩამოთვლილი ნუსხაც საკმარისად მიგვაჩნია. უნდა დავუმატოთ მხოლოდ, რომ სახელებ შორის ზოგიერთს ისეთს სახელსაც შეხვდებით, რომელიც ოდესღაც სამეფო გვარეულობასა ეყოფილა. ზოგიერთი მეფის შთამომავალთაგანი ეხლა... ფოსტის მოხელეა და ქუჩა-ქუჩა წერილებს დაარბენინებს დასარიგებლად. დიაღ, ასე გარდამავალ არს დიდება ამა სოფლისა!..

— ახირებული სიჩივარი გაურჩევიათ ამას წინად ინგლისის მოსამართლეებს ლეიდსში: ერთი სამოც-და-თოთხმეტის წლის ქვრივი დედაკაცი უჩიოდა თურმე სამოც-და-ათის წლის ქვრივს კაცს, რომ მომატყუა, დამპირდა, შენზედ ჯვარს დავიწერო, მაგრამ შემდეგ უარი სთქვაო. მოსამართლეებმა შეიწყნარეს თხოვნა და მუდარა გაცრუებულის საპატარძლოსი და ქვრივის დედაკაცის სასარგებლოდ მოღალატეს სამოც-და-თხუთმეტი თუმანი ჯარიმა გადაახდევინეს.

## დეპეშა

16 აპრილი

**პეტერბურგი.** კვლავ ნება-რთვა გამოვიდა, რომ პასპორტები მიეცეს ხოლმე სირიასა და პალესტინაში მიმავალ მლოცავთ წმ. ადგილებში სალოცავად, რაიცა 1891 წ. 1 მარტს აღკრძალულ იქმნა. ასეთივე ნება მიეცა მეკკასა და მედინაში მიმავალს მაჰმადიანებსაც.

11—14 აპრილს განსაკუთრებულს კომიტეტს შეწირულება მიუვიდა 60,000 მანათამდე. აქედგან 25,000 მან. დონის როსტოვის ვაჭართა შორის არის შეკრებილი ხელის მოწერით.

პეტერბურგის ბირჟა, 14 აპრილი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,80 | 7,82 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 155 3/4 | 156 1/2 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — ,, | 1,12 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 237 | — ,, | — ,, |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 219 1/2 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | 196 | 197 3/4 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% . . . . . | — ,, | — ,, | 101 1/2 |
| 5% . . . . . . | — ,, | — ,, | 99 |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | — ,, | — ,, | 101 1/2 |
| 5% . , . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | 99 1/2 |

## გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე, მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განთიადისას.


საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „Иверія“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში. № 21.

ახალი სტამბა

მ. შარაძისა ტფილისში

ნიკოლოზის ქუჩაზედ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში,

იქ, სადაც „ივერიის“ რედაქცია იმყოფება, გაიმართა სრულიად ახალი სტამბა.

სტამბასა აქვს საზღვარ-გარეთიდამ გამოწერილი ახალის სისტემის მსწრაფლ-მბეჭდავი და სხვა და სხვა გვარი მაშინები.

ამასთან გვაქვს ახალი ასოები, როგორც ქართული, აგრეთვე რუსულიცა და სომხურიც. სომხური ასოები გამოწერილია ვენიდგან.

ყოველ გვარს სასტამბო საქმეს ქართულ-სომხურ-რუსულს ენებზე სუფთად და დროზედ ვაკეთებთ.

გამოიცა ალექსანდრე როინაშვილის მიერ



ძმური სიტყვა

დ. მაჩხანელისა

და ისყიდება შემდეგს ადგილებში:

ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ და ქართველთ მხანაგობის წიგნის მაღაზიაში;

ქუთაისში ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიაში;

გორში არსენ კალანდაძესთან;

თელავში ილია ზარაფოვთან;

სიღნაღში კოტე ბალაშვილთან და კოტე ნადირაშვილთან.

ოზურგეთში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.

წიგნი ღირს ხუთ შაურად. ვინც 10 ცალს ერთად იყიდის გამომცემლისაგან, აბაზად დაეთმობა. (10—79—10)